პროლეტარელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 25 მარტი, 1944 წ. № 62 (7006). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ტარნოპოლის, პროსკუროვის უბანზე მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში, მოჰქანცეს ამ ბრძოლებში გერმანელთა სატანკო და ქვეითი დივიზიები, რომლებსაც აქ კონტრიერიშები მოჰქონდათ, ამ დღეებში მტრისათვის უეცრად თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და გაარღვიეს მისი ფრონტი.

ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა წაიწიეს წინ 60-დან 100 კილომეტრამდე, დაიკავეს ქალაქი და დიდი ოპერატიული მნიშვნელობის მქონე რკინიგზის კვანძი ჩერტკოვი, ქალაქი გუსიატინი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი ზალეშჩიკი მდინარე დნესტრზე და გაათავისუფლეს 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

გარღვევის განხორციელებისას და ქალაქების ჩერტკოვის, გუსიატინისა და ზალეშჩიკის დაკავებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ჩერნიახოვსკის, გენერალ-პოლკოვნიკ ბრეჩკოს, გენერალ-ლეიტენანტ ჟურავლიოვის, გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ლიუდნიკოვის, გენერალ-მაიორ ჩუვაკოვის, გენერალ-მაიორ ზამერცევის, გენერალ-მაიორ ლაზკოს, გენერალ-მაიორ შმიგოს ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კატუკოვის, გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკოს, გენერალ-ლეიტენანტ ლელიუშენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ გეტმანის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ დრემოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანფილოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ივანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მალიგინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პოლუბოიაროვის ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ვარენცოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბრიჩენკოს, არტილერიის გენერალ-მაიორ ლიხაჩოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ვოლჩკოს, არტილერიის გენერალ-მაიორ სანკოს, პოლკოვნიკ რაზუმოვსკის არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ პოლუნინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბოლშინის, ავიაციის გენერალ-მაიორ კამანინის, პოლკოვნიკ კოტელნიკოვის, პოლკოვნიკ იუზვეევის, კაპიტან ტიტარენკოს მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი გარღვევის განხორციელებისას და ქალაქების ჩერტკოვის, გუსიატინისა და ზალეშჩიკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ჩერტკოვის“, „გუსიატინისა“ და „ზალეშჩიკის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ხამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი სალუტით აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ტარნოპოლის, პროსკუროვის უბანზე.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ — ჯორჯ კ. მარშალის სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ერთსულოვანი აღიარებისათვის და საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობის საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას **სუვოროვის I ხარისხის** ორდენით გენერალი ჯორჯ კ. მარშალი, ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 24 მარტი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გელორუსიის პირველი ფრონტის გაზეთ „კრასნაია არმიას“ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის გაზეთი „კრასნაია არმიას“ 25 წლისთავის აღსანიშნავად და ფრონტის ჯარების პირადი შემადგენლობის სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული აღზრდის საქმეში წარმატებითი მუშაობისათვის ბელორუსიის 1-ლი ფრონტის გაზეთი „კრასნაია არმია“ დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 24 მარტი.

ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოცდახუთი წლისთავის დღეს მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს!

ბაშკირეთის მშრომელებმა საბჭოთა ხალისუფლების არსებობის ოცდახუთი წლის შანძილზე თავიანთი თავდადებული შრომით, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თავიანთი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებაში.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის ფრონტებზე ბაშკირი მეომრები მამაცურად იბრძვიან წითელი არმიის რიგებში ჩვენი დიდი სამშობლოს თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. ბაშკირეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია დაუღალავად შრომობენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და სულ უფრო და უფრო მეტ საჭურველს, საომარ მასალებს, ნათის პროდუქტებს, სურსათს აძლევენ ფრონტს.

ბაშკირი ხალხი თავისი ავტონომიური რესპუბლიკის არსებობის ოცდამეხუთე წლისთავს ხვდება საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი შეტევის ვითარებაში, იმ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში, რომლებსაც აღწევს ჩვენი გმირი წითელი არმია, დღითი დღე, რომ ანადგურებს გერმანელ დამპყრობლებს და ერეკება მათ საბჭოთა მიწა-წყლიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ წითელი არმიის შესანიშნავი გამარჯვებებით აღფრთოვანებული ბაშკირი ხალხი ბოლომდე შესრულებს თავის ვალს სამშობლოს წინაშე, მიაღწევს ახალ საწარმოო წარმატებებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შეიტანს თავის წვლილს სსრ კავშირის ხალხების საერთო ღონისძიებებში, ხალხებისა, რომლებიც ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით იბრძვიან საბჭოთა მიწა-წყლიდან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განდევნისათვის, მტრის უსწრაფესი და საბოლოო განადგურებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

23 მარტს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და 2. საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. თვალჭრელიძე. კამათში ამხ. თვალჭრელიძის მოხსენების გარშემო გამოვიდნენ ამხ. ზ. პირიაშვილი, მ. გოგოლიშვილი, ე. ტაკიძე, ა. ჯღარკავა, შ. ჭანუყვაძე, ე. ჯიქია, ვ. სანიკიძე, ი. ფუტკარაძე, გ. პეშკოვი, ს. ჩალოღლი.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. **ა. თოფურიძე.**

პლენუმმა ამხ. გ. თვალჭრელიძე გათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გათავისუფლა: საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან ამხ. ნ. გაბუნია, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან კადრების დარგში ამხ. ქ. მეგრელიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან პროპაგანდის დარგში ამხ. ბ. ნანიტაშვილი.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. კ. ბეშვაია, მეორე მდივნად ამხ. ქ. მეგრელიძე, მდივნად კადრების დარგში ამხ. ს. ჯიჯეიშვილი, მდივნად პროპაგანდის დარგში ამხ. კ. ბაბილოძე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 მარტის ოპერაციული ცნობა

24 მარტს განმავლობაში ქალაქ ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით გადალახეს მდინარე სერეტი, ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზვიქინი, ბანაივი, ტრუსკავეცი, ლოკუშანი, ბიალოგლოვი, ბზოვიცა, ნესტეროვიცა, ცებროვი, ანელიუშკა და რკინიგზის სადგური ცებროვი. ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ტარნოპოლ-ლვოვის რკინიგზა და გზატკეცილი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას, ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 60-დან 100 კილომეტრამდე და დაიკავეს ქალაქი და დიდი ოპერატიული მნიშვნელობის მქონე რკინიგზის კვანძი ჩერტკოვი, ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრები—ქალაქი გუსიატინი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი ზალეშჩიკი მდინარე დნესტრზე, ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ტლუსტე, ქალაქი სტრუსოვი, ქალაქი ბოგოროდჩანი, ქალაქი ბურშტინი, ქალაქი ბოლშოვცი, ქალაქი ბელოზერკა, ქალაქი ბელაია, ქალაქი ბელიაევკა, ქალაქი ბელობოჟნიცა, ქვინიაგი, შუპარკი, ულუშუანი, პროგუშუნა, ველიკიე ჩერნოკონეცე, ტლუსტენკე, ვასილკოვცი, ჩაბაროვკა, გოლენიშჩევო, კუზმინჩიკი, ლესოვოდი, კრემენაია, ნოვოსელკი, სტარე და ნოვოე კორჩინე და რკინიგზის სადგურები ჩაბაროვკა, ვასილკოვცი, ვიგნანკა, იაგელნიცა, ვორვულინეცი. ამ ბრძოლებში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, არასრული ცნობებით, ხელში ჩაიგდეს შემდეგი დასლა: 300-მდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 120 ჯავშანავტომობილი და ჯავშანტრანსპორტიორი, 500-ზე მეტი სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 490 ნაღმსატყორცნი, 760 ტყვიამფრქვევი, 5 ათასზე მეტი ავტომანქანა, 8 სარკინიგზო ეშელონი ტანკებიანად და სხვა სამხედრო ტვირთიანად, 30 სხვადასხვა საწყობი.

მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა 20 ათასამდე ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. ტყვედ ჩავიგდეთ 3.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი ჟმერინკა, ოლქის სხვა დასახლებული პუნქტები ოლენეცი, ბირნოვა, ჩერნოლესუკა, კოლბუ, ცაული, მიხაილენი, კელენია, კუბოლტა, ფრუმუშიკა, გვოზდოვა, კოშერნიცა და რკინიგზის სადგურები სოფია, კეტრენი, კელენია. ჩვენი ჯარები მიადგნენ ქალაქ ბელაცის და გაჩაღეს ბრძოლები მის განპირა უბნებში.

ქალაქ ბაბიკოროვნის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს მოლდავეთის სსრ რაიონული ცენტრი — ქალაქი კამენკა (დნესტრის მარცხენა ნაპირზე), აგრეთვე დაიკავეს 20-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პოდოლეა, ზაგნიტკოვი, პისარევკა, შერშენცი, ლაბუშნა, ბუდი, სპოლიანკა, სარაფინკა.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ვოზნესენსკი—მოწინააღმდეგის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი იუჟნი ბუგის ქვემოწელში.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

23 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 82 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 24 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. გერმანელთა ყველა ცდა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა ნაწილებისათვის, ლიკვიდირებულ იქნა ჩვენი სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის შემმუსვრელი დარტყმებით. სასტიკად დამარცხებული გერმანელთა დივიზიები უკან იხევენ, ამასთან საცეცხლე პოზიციებზე და გზებზე სტოვებენ ქვემეხებს, ტანკებს, თვითმავალ დანადგარებსა და ავტომანქანებს. ჩვენმა ჯარებმა, რომლებმაც გუშინ დაიკავეს ქალაქი კოპიჩინეცი, დღეს მძაფრი დარტყმა აგვეს მტრის გარნიზონს ქალაქ ჩერტკოვში. საბჭოთა ტანკებმა და მოტორიზებულმა ქვეითმა ჯარმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს ქალაქი და დიდი ოპერატიული მნიშვნელობის მქონე რკინიგზის კვანძი ჩერტკოვი. ჩვენი მოძრავი შენაერთები სწრაფად გადავიდნენ მდინარე სერეტზე, გაეშურნენ სამხრეთისაკენ და თავიანთ გზაზე ანადგურებენ მოწინააღმდეგის სარეზერვო ნაწილებს, ზურგსა და შტაბებს. გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან ზედიზედ იქნა გაშენდილი დიდი დასახლებული პუნქტი იაგელნიცა, ქალაქი ტლუსტე, ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ზალეშჩიკი მდინარე დნესტრზე. ჩვენმა სხვა ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი გუსიატინი, ქალაქი სტრუსოვი, აგრეთვე 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. მთელ რიგ რაიონებში მოწინააღმდეგის გარნიზონები და ჯარების ჯგუფები გარშემორტყმულნი და წარმატებით ლიკვიდირებულნი არიან.

* * *

პროსკუროვის მიმართულებით მოწინააღმდეგე კონტრიერიშებით ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი შემტევი ჯარები. ნ შენაერთის ნაწილებმა წარმატებითი მანევრის შედეგად უკუაგდეს გერმანელები და დაიკავეს კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი მეჟიბოჟი. ჩვენმა სხვა შენაერთებმა დასძლიეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, მიადგნენ ქალაქ პროსკუროვს და გაჩაღეს ბრძოლები ქუჩებში. ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია 2 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 30 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები განაგრძობენ შეტევას. გერმანელებს გამოუყენებიათ ძლიერ დასერილი ადგილმდებარეობა, მაღლობები და ხევები და ქალაქ ვოზნესენსკის ირგვლივ ძლიერი სიმაგრეები შეუქმნიათ. გარნიზონს მათ მოაშველეს ქვეითი ჯარის, ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დიდი ძალები. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მიადგნენ ვოზნესენსკს სამხრეთიდან, ქუჩებში გაჩაღეს ბრძოლები და შებოჭეს ჰიტლერელთა ძირითადი ძალები. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა შუალედზედუდეებზე და შეიჭრნენ ქალაქის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ განაპირა უბნებში. ქუჩებში გაჩაღებული გაუთრეული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი გარნიზონი, ხოლო მისი ნაშთები იუჟნი ბუგში გადაჭყარეს. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაგლეჯილი ტყვე.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაადზვერვამ ფინეთის ყურეში აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ხომალდების ორი ჯგუფი. საბჭოთა მფრინავებმა რამდენიმეჯერ დაბომბეს და იერიში მიიტანეს მათზე და ჩასძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი 2 ათასი ტონა წყალწყვილა თითოეული, საგუშაგო ხომალდი და საგუშაგო კატერი. მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი ჩასძირა მფრინავმა ამბ. კაშტანკინმა, რომელიც ამასოან გმირის სიკვდილით დაიღუპა. საბჭოთა პატრიოტი თავისი თვითმფრინავით გაექანა გემისაკენ და მთელი ძალით დაეჯახა ვას. მოზდა ძლიერი აფეთქება, ხომალდი დაუყოვნებელივ ჩაიძირა. ჩვენი მფრინავები დადგენენ გერმანელთა გემების ქარავანს და ნაცვლადგური ასერში ააფეთქეს და ჩასძირეს მოწინააღმდეგის კიდევ ერთი საგუშაგო ხომალდი.

შავ ზღვაში ნაღმებს დაეჯახა და ჩაიძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 1.600 ტონა წყალწყვილა.

* * *

ლიტველთა პარტიზანულმა რაზმმა „ვილნიუსმა“ ათი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის ხუთი სამხედრო ეშელონი. მატარებელთა მოძრაობა ამ უბანზე შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღით. ლიტველ პარტიზანთა სხვა რაზმმა გაანადგურა გერმანელის დიდ მამულში განლაგებული მტრის გარნიზონი. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, აგრეთვე მამულის მმართველი მოკლულნ არიან. ამავე რაზმის პარტიზანებმა ნაღმებზე ააფეთქეს ორი მატარებელი. მარცხის დროს დაჭეროლია ორი ორთქმავალი და 16 ვაგონი მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკიანად.

უკანასკნელი ცნობები
უნგრეთის ამბების გამო

ლონდონი, 24 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, სტამბოლში მყოფი უნგრელი წრეები ადასტურებენ ცნობას იმის შესახებ, რომ 22 მარტს მოკლე სხდომის შემდეგ „უნგრეთის პარლამენტმა სესია განუსაზღვრელი ვადით გადასდო“.

როგორც გამოირკვა, ადმირალი ჰორტი ჩამოვიდა ჰიტლერის რეზიდენციიდან ბუდაპეშტის აეროდრომზე 22 მარტს; მას თან ახლდნენ უნგრეთის დესანი ბერლინში — გენერალი სტოიაი, გენერალური შტაბის უფროსი—გენერალი ხომბატეი და სამხედრო მინისტრი ჩატაი. ჰორტი გაემგზავრა მეფის სასახლეში, სადაც მას თათბირი ჰქონდა პარტია „უნგრეთის ცხოვრების“ ლიდერ ლუკაჩთან. თათბირის შემდეგ კალაი გადადგა და ბუდაპეშტიდან გაიქცა. როგორც გადმოგვცემენ, ჯიდრე ბუდაპეშტს დასტოვებდა, მან უბრძანა უნგრეთის ჯარებს განეგრძოთ წინააღმდეგობის გაწევა დამპყრობლებისადმი. სხდომის დროს, რაც სასახლეში მიმდინარეობდა, „სს“ სპეციალური რაზმები და გესტაპოელთა ნაწილები აპატიმრებდნენ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის, აგრეთვე სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის ლიდერებს. ამასთან „სს“ ნაწილები პატრულობდნენ ქუჩებში. იმ შენობის ახლოს, სადაც მოთავსებულია ადმინისტრაციული ბალტიის ფლოტის ადმინისტრაციული ბალტიის ფლოტის ადმინისტრაციული ბალტიის ფლოტის

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

კამათი საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ გაკეთებული მოხსენებების გამო

დეპუტატ ი. ო. მოსაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მუშაობა იმით არის განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ მის წინაშე განსახილველად წარმოდგენილ სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის ჩვენ ვიხილავთ საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილ წინადადებას თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოება საჯარისო ფორმირებათა ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე მათთვის უფლებამოსილების მინიჭება — უშუალო დიპლომატიური ურთიერთობა დამყარონ უცხოეთის სახელმწიფოებთან— პირდაპირი შედეგია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდისა, იგი წარმოადგენს სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა კავშირის ხალთა სტალინური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების თვალსაჩინო ნაყოფს.

როდესაც ჰიტლერელი ყაჩაღები ქურდულად შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას, მათ იმედი ჰქონდათ ერთის დაკვრით დაეშალნათ საბჭოთა სახელმწიფო, ისინი ბრიყვულად ვარაუდობდნენ, რომ გესტაპოს სოროებში ოცეული პროვოკატორთა საშუალებით ერთმანეთს წაეკიდებდნენ საბჭოთა მოძმე ხალხებს, რომელნიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე მშვიდობიან შრომაში სჭედავენ თავიანთ ბედნიერებას.

ჩვენდამი სიძულვილით დაბრმავებულებმა, მათ ვერ შეამჩნიეს ის დაულეველი ძალა, რომელიც ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ჩვენს მრავალერიან ქვეყანას მისცა. ამ ძალის მრისხანე დარტყმას გუდანაბადმოკიდებული ჰიტლერელი ქურდ-ბაცაცები ახლა თავის დაუეჭელ ზურგზე ზედიზედ გრძნობენ. ამ ძალის მეთხებით სტალინგრადის ნამქერიან ტრამალებზე, კურსკთან და ბელგოროდთან, დნეპრზე და ლენინგრადის მისადგომებთან, ბელორუსიის ტბორებსა და ჭაობებში არა ერთმა და ორმა ასეულმა ათასმა ყვითელ-მუნდირიანმა ორფეხმა მხეცმა დასტოვა თავისი მურდალი სიცოცხლე.

ამ ძალის მრისხანე ქუხილი იყო შარშან მტრის თავზე რომ გაისმა ჭაღარა კავკასიონის მისადგომებზე. ასეთი ქუხილი არასოდეს სმენიათ ამირანის ნაკვალევ ხეობებსა და კლდეკაძებს. აშხანგ ლავრენტი ბერიას ნაკადმა ხელმა მტრის შესამუსრავად დარაზმა და დასძრა საბჭოთა ძლევამოსილი ლეგიონები (ტაში).

ჩვენმა სახელოვანმა მამა-ჰაპამ საქართველოზე მომავალს მრავალ მტაცებელ ურდოს მკერდი შეაგება და გზა გადაუღობა. დღესაც ჩვენი გაუტეხელი ყამირების გულიდან გუთნეულს რამდენჯერ ამოუყრია იმ ბრძოლებში დალეწილი ფარ-ხმალი და ჯერ კიდევ დაუმაწყლებელი ძვლები მტკვრისა და რიონის ხეობებში ოდესღაც შემოსეული ველურებისა.

ამ წმიდა მიწაში მამულისათვის თავდადებული მრავალი გმირიც ჩაწოლილა, მაგრამ თავისი სახლ-კარი მტრისათვის არ დაუთმია, დედებისა და ცოლების ნამუსი შეუნახავს და ჩვენთვის—შვილებისათვის, ეს ლამაზი თვალწარმტაცი ქვეყანა დღემდე მოუტანია.

დღეს კი გმირი ქართველი მეომრები, ოფიცრები და მხედართუფროსები, ჩვენი მოძმე დიდი რუსი ხალხის და სხვა საბჭოთა ხალხთა სახელოვან შვილებთან ერთად, ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ველებზე, მთელ ფრონტზე ანადგურებენ ჰიტლერის ნაქებ არმიებს—მეოცე საუკუნის ამ ბარბაროსულ ურდოებს.

იმ დიდი წინაპრების გმირული სული მიუძღვის დღესაც საბჭოთა საქართველოს სახელოვან შვილებს ბრძოლის ველზე სტალინის დროშის დასაცავად, მამულის დასაცავად, რომლის სიყვარულს ძველთან ბრძოლაში წაჭეული ქართველი ფიცით აბარებდა ფეხზე მდგომარე ქართველს. ამ სიყვარულმა ჩაუნერგა მას დაუნდობელი სიძულვილი მტრისადმი, ამ სიძულვილით მიერეკება იგი ფაშისტ დამპყრობლებს ჩვენი წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

დასავლეთისკენ, დასავლეთისკენ!
დაუწერიათ ხმლებზე მეომრებს.
თუნდაც კვდებოდეს,—დასავლეთისკენ —
მაინც ამასვე გიმეორებს,
თუნდაც კვდებოდეს, გულში ამაყად
ერთ ფიცს ატარებს, რჯულზე-ურჯულს:
მაინც სამშობლოს სახელი ახსოვს,
მაინც სტალინის სახელს ჩურჩულებს!

ამ წმიდა სიყვარულმა სამშობლოსადმი, ამ წმიდა ფიცმა, რომელსაც ყველა საბჭოთა პატრიოტი ბილადისადმი გულში ატარებს, შორს გაუთქვა სახელი საბჭოთა იარაღს და წითელი არმია ფაშიზმისაგან დამონებულ ევროპის ყველა ხალხთა იმედად გადაქცია.

საქართველო, ისევე როგორც ჭოელი საბჭოთა ქვეყანა, ამაყობს წითელი არმიით, რომლის მებრძოლთა რიგებში მისი სახელოვანი შვილებიც ღირსიულად იხდიან ვალს დედა-სამშობლოს წინაშე.

ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული გმირების კანკავას, წურწუმიას, ხარაზიას, ადამიას და სხვათა სახელებს, რომელთაც მკერდით გზა გადაუღობეს ჩვენს დასამონებლად აზიდრებულ ტევტონთა ველურ ნაჯიმარებს.

ბევრმა ქართველმა ვაუკაცმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის გმირის სატიტო წოდება. რამდენმე ათასმა დაიმსახურა მთავრობისა და სარდლობის მაღალი ჯილდო. ბევრმა ქართველმა ოფიცერმა და მხედართუფროსმა თავი ისახელა, როგორც ჯარის მართვისა და ბრძოლის გამოჩენილმა ოსტატმა.

სამამულო ომი მთელი საბჭოთა ხალხის ძალ-ღონის გამოცდად გადაიქცა. ქართველმა ხალხმა ეს გამოცდა მთელს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოსთან ერთად ღირსეულად ჩაბარა.

და ახლა, როდესაც ჩვენს წინაშე განსახილველად დგას საკითხი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, თამამად შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა ამ დიდ საპასუხისმგებლო სახალხო ამოცანას ღირსეულად შეასრულებს.

მოკავშირე რესპუბლიკათა ნაციონალური საჯარისო ფორმირებანი კიდევ უფრო განმტკიცებენ მთელ ჩვენს წითელ არმიას, მთელ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საწარმოები, ჩვენი მრავალრიცხოვანი უმაღლესი სასწავლებლები ამთავითვე ისე წარმართავენ ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო წვრთნისა და აღზრდის საქმეს, რომ მომავალში აღარც ერთ იმპერიალისტურ მტაცებელს ხალისი აღარ ჰქონდეს ჩვენს წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს სისხლიანი თათები წაუპოტინოს.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია არის გრძელი გზა მცირერიცხოვანი ხალხის უთანასწორო გმირული ბრძოლისა ბევრად ძლიერ და მრავალრიცხოვან ველურ ურდოებთან, რომელთაც მუდამ იზიდავდა მუყაითი და შრომისმოყვარე ქართველი კაცის ხელით დაგროვილი დოვლათი და ჭირნახული. ბევრჯერ დამწვარსა და აწიოკებულ ჩვენს ხალხს ფხიზელი თვალი და მაგარი მკლავი უნდა ჰქონოდა, რომ მისი კერა სამუდამოდ არ გაციებულიყო, რომ მისი ცხოვრების სამეფური სამუდამოდ არ მოშლილიყო.

მაგრამ მარტო ქართველი მხედრობის თავდადებული ვაუკაცობა როდი იყო საჭიროსი ჩვენი ხალხის არსებობის გადასარჩენად.

ქართველ კაცს იმთავითვე მოაქვს დიდი თვისება მძიმე პირობებში ერის ბედის განსჯისა, ხალხისა და ქვეყნისათვის საჭირო საგარეო ორიენტაციის არჩევისა. მრავალმა განსაცდელმა მისი გონებაც მის ხმალსავით გაწვრთნა და გალესა, მტრისა და მოკეთის აღრე გამოცნობა ასწავლა.

მარტო ერეკლე მეორეც, რომ მოვიყვანოთ მაგალითად, ისაც საკმარისია ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად. ამ დაუღალავ მეფე-სარდალს ჭაბუკობაში ამოღებული ხმალი ღრმა სიბერემდე არ ჩაუგია ქარქაშში, მაგრამ როდესაც შორსმჭვრეტელი თვალით თავისი ქვეყნის მომავალს გახედა, ბრძნულად გადასწყვიტა მისი ბედი დიდი რუსი ხალხისათვის დაეკავშირებინა საუდამოდ. ამ ისტორიულმა არჩევანმა ქართველი ხალხი საშვილიშვილოდ იხსნა განადგურებისაგან და მისი დიდი კულტურული წარსული ახალი საკაცობრიო კულტურის გზაზე გამოიყვანა.

დღეს საბჭოთა ხალხთა დიდ ოჯახში გაზრდილ, კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებულ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება ენიჭებათ უშუალო დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ უცხოეთის სახელმწიფოებთან. ეს თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ განმტკიცდა და გაძლიერდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, როგორ გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში, როგორ განმტკიცდა თითოეული მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საერთაშორისო წონა და მნიშვნელობა.

ამაშია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვება, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება.

მაგრამ რამდენადაც ფართოვდება ამ სფეროში ჩვენი უფლებები, იმდენად მეტი საზრუნავი გვეკისრება განსაკუთრებით ჩვენი საერთო-სახალხო კულტურისა და მეურნეობის დონის ამაღლებისათვის. არ კმარა მარტო ჩვენი დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლებით ამაყობა. ჩვენი ხელოვნების ყველა დარგმა ისე უნდა გარდაჭქმნას თავისი მუშაობა, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი მდიდარი მუსიკალური თუ თეატრალური კულტურა, ჩვენი ლიტერატურა.

ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელობით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური და საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების შექმნასთან დაკავშირებულ ყველა საკითხსა და ამოცანას ისევე ღირსეულად გადასჭრის, როგორც სამამულო ომის ძნელ პირობებში ღირსეულად გადასჭრა მრავალი სახელმწიფო-სამეურნეო მნიშვნელობის დიდი ამოცანა.

ამხანაგო დეპუტატებო! მზარს ვუჭერ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილ წინადადებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ და ვფიქრობ ყველა ჩვენგანისთვის ნათელია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ამ დიდი ისტორიული აქტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

შორს არ არის დღე, როდესაც ჰიტლერელ ავაზაკებს სიბოლოოდ განვდევნით ჩვენი მიწა-წყლიდან და მათს ფაშისტურ ბუნავსაც ძირამდე ამოვ ბესარაბიის ეკაკეთაცის შესახებ. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ანტონესკუს მთავრობა გარდაქმნილი იქნება.

ბულგარეთში შექმნილია სამხედრო პოლიციის დიდი ნაწილები გერმანიის „სს“-ელთა რაზმების მსგავსად. ფიქრობენ, რომ ისინი გათვალისწინებული არიან ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით არმიის რიგებში“.

მოკმეული არმია (უკრაინის 1-ლი ფრონტი). არაერთხელ გადასულა მტრის ზურგში მზვერავი რიგითი მებრძოლი გრიგოლ დერმურო. ამას წინათ იგი დაბრუნდა ღრმა რეიდიდან და თან მოიყვანა „მოენე“. ამხ. დემეროს საბრძოლო ანგარიშზეა 8 მოსპობილი გერმანელი. მამაცი მეომარი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლით „მამაცობისათვის“. სამამულო ომამდე იგი მუშაობდა თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში.

ფოტო ვ. შაროვსკისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

„კუბუზოვი“

ვ. სოლოვიოვის სცენარით რეჟისორმა ვ. პეტროვმა დასდგა მხატვრული ფილმი რუსი ხალხის გმირული ისტორიიდან „კუტუზოვი“. ფილმს უჩვენებენ მოსკოვის ეკრანებზე. ახლო ხანში მას იხილავს თბილისის მაყურებელი. მთავარ როლებს ასრულებენ: ა. დიკი (კუტუზოვი), ნ. ოხლოპკოვი (ბარკლი დე ტოლი), ვ. გოტოვცევი (ბენიგსენი), ს. ზაქარიაძე (ბაგრატიონი), ნ. რიეკოვი (ვოლკონსკი), ნ. ტიმოფეევ-კი (ალექსანდრე I), ს. ბლინიკოვი (ბლატოვი), კ. შილოვცევი (კონოვნიცინი), ბ. ჩირკოვი (დენის დავიდოვი), ვ. ერშოვი (ბეკენდორფი), ი. სკურატოვი (ს. ჟესტიანკოვი), მ. პუგოკინი (ფედია), ს. მეეფსკი (ნაპოლეონი), ე. კალუჟსკი (ბერტიე), ა. პოლიაკოვი (დავუ), ა. სტეპანოვი (ნეი), ნ. ბრილინგი (მიურატი), გ. ტერეშოვი (ლორისტონი) და სხვ.

ფილმის კონსულტანტები არიან აკადემიკოსი ე. ტარლე და გენერალ-მაიორი ნ. ტალენსკი.

პროფ. ა. ი. თულაშვილის საღამო

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში 25 მარტს შესდგება საღამო, მიძღვნილი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ა. ი. თულაშვილის დაბადებიდან 70 წლისა და მუსიკალურ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის შესრულებისადმი. პროფ. ა. ი. თულაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს დოც. პ. ხუჭუა. მოხსენების შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კონსერვატორიის ასისტენტები, სტუდენტები და მუსიკალური აკადემიის იმ კლასის მოწაფეები, რომელსაც პროფ. ა. ი. თულაშვილი ხელმძღვანელობს.

ახალი წიგნები

„ძლევის ქედი“



საბჭოგამმა გამოსცა პოეტ გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“. წიგნი შეიცავს 58 გვერდს, გაფორმებულია მხატვარ ს. კეცხოველის მიერ და ღირს 8 მანეთი.

„ძლევის ქედის“ რედაქტორია ამხ. ბეს. ყენტი.

„სალტიკოვ-შჩედრინი“

საბლიტგამმა გამოსცა ერ. ასტაფიატროვის წიგნი — „სალტიკოვ-შჩედრინი“. წიგნი შეიცავს 90 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

წიგნის რედაქტორია ამხ. შ. რადიანი.

მენდელეევის საზოგადოებაში

ხვალ, 26 მარტს, დღის 12 საათზე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში (ცხონის ქ. № 34) შესდგება მენდელეევის სახელობის სრულიად-საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება, მიძღვნილი დ. ი. მენდელეევის ხსოვნისა და მისი პერიოდული სისტემის 75 წლისთავისადმი. სხდომაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები: 1. პროფ. დ. ქ. ზავრიევი — დ. ი. მენდელეევი ყოფილ პეტერბურგის უნივერსიტეტში და მისი პერიოდული სისტემა. 2. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. რ. ნ. ნიკოლაძე — დ. ი. მენდელეევის მოღვაწეობის უნივერსიტეტისშემდგომი პერიოდი. 3. პროფ. ი. ა. სოკოლოვი — დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის ევოლუცია.

თეატრებში

25 მარტს: სახელმწიფო ოპერა — „ევგენი ონეგინი“. რუსთაველის — „უდანაშაულო დამნაშავენი“. მარჯანიშვილის — „ხანუმა“. გრიბოედოვის — „ერთი ღამის შეცდომები“. სომხური — „ლურჯი მანდილი“. ახუნდოვის — „სტუმარ-მასპინძლობა“. მუსკომედიის — „სილვა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

შვილი გიორგი, რძალი შურა, შვილიშვილი მაყვალა იუწყებიან **პარმენ გიორგის-ძე ხუჭუას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26/III, 3 ს. ტელმანის, 3. 348

ძაძა გიორგი, ძმები დიმიტრი, ვასილ, მიხეილ, რძლები, ძმისწულები იუწყებიან **დარო ჩიქოვანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26/III, დოლიძის, 16 (საბურთალო).

მშობლები ზოია, კირილე გვასალიები იუწყებიან **კიაზოს** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/III, 5 ს. პეტრიაშვილის, 24. 350

შვილები ნინო, ვასო, ანო, მარო, რძალი ანიჩკა იუწყებიან **ნატალია ნიკოლოზისასულ გორგასანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26/III, 5 ს. ვარდისუბნის, 28.

მეუღლე მაშო, შვილები აგრაფინა, ნადია, სიძე უშანგი ნიქობაძე იუწყებიან **იოსლტე ფაშანგის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/III ხარაგოულში. 373

ძმობლები მიხეილ და ვერა პაპიტაშვილები იუწყებიან **ვალიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/III, 7 ს. გამოსვენება 26/III, 5 ს. პლეხანოვის, 97. 368

დედა ბიკენტი, შვილები ქეთო, სპარტაკ, ბიძები აბესალომ, ვანო მაღრაძეები ცოლ-შვილით იუწყებიან **ლიუდმილა ნემსაძე-კამკამიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/III, 7 ს. გამოსვენება 26/III, 5 ს.

შვილები მიშა, ვარლამ, მიტუშა, ქსენია, მარგარიტა, რძლები, შვილიშვილები იუწყებიან **ეფემია კახიანი-კანდელაკის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26/III, მოლოტოვის, 129. 356

დეპეშები

სვეტიები ამხანაგ სტალინის შესახებ მექსიკურ ჟურნალში

მექსიკო, 24 მარტი (საკადესი). ჟურნალი „ტოდო“ აქვეყნებს პროფ. მანსისიდორის მიერ დაწერილი სტატიების სერიას საერთო სათაურით „სტალინი — ფოლადის ადამიანი“.

უკვე გამოქვეყნებულია ოთხი სტატია, რომლებშიც ავტორი დაწვრილებით და გულთბილად ასწერს ამხანაგ სტალინის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, ხალხის თავისუფლებისათვის და ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ რევოლუციას. სტალინი გადადიოდა ფრონტიდან ფრონტზე, ყველგან აწყობდა წინააღმდეგობის გაწევას და მტრების — დენიკინის, ვრანგელისა და სხვათა განადგურებას, ამასთან ზედიზედ აღწევდა გამარჯვებას. ვინც იცნობს ამ წარსულს, ისინი ახლა ხედავენ წითელი არმიის სტალინური ხელმძღვანელობის თავისებურებებს იმ ბრძოლაში, რომელსაც წითელი არმია ნაცისტთა არმიის წინააღმდეგ ეწევა, ხედავენ სტალინს, როგორც ორგანო ზატორს, სტრატეგისა და არმიის ბელადის ნიჭს. სტალინის დამსახურება წმინდა სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებულია. ვისაც სურს მიაგნოს ნაცისტურ დივიზიებზე წითელი არმიის დღევანდელ ტრიუმფალურ გამარჯვებათა საიდუმლოების გასაღებს, მან იგი უნდა ეძებოს წარსული ბრძოლის ასპარეზებზე, სადაც საბჭოთა ბელადმა შესძლო წესრიგისა და დისციპლინის დამყარება. იგი არ ჰკარგავდა არც ერთ წუთს, არ ეძლეოდა გულგატეხილობას და აკეთებდა ყველა ფაქტორისა და გარემოების ღრმა, შორმჭვრეტელ ანალიზს, შესაბამად იმისა, როგორც ამას იგი ახლა აკეთებს“.

ამერიკული გაზეთი წითელი არმიის შეჯვების შესახებ

ნიუ-იორკი, 23 მარტი (საკადესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ გერმანელთა ახლანდელი დამარცხება უკრაინაში სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს სამაგიეროს მიზღვევად საბჭოთა კავშირზე გერმანიის დანაშაულებრივი თავდასხმისათვის. „სამაგიეროს მიზღვევა, რის თავიდან აცილება შეუძლებელია, როგორც იქნა, ხორციელდება. უკრაინული უგზოობის პირობებში ბოლო ეღება უდიდეს დანაშაულს“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის სატელიტებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, ნაცისტების დანაშაულობაზე ხელს მოვითბობთო, ახლა ესმით სამაგიეროს მიზღვევის გარდუვალობა. „ფინელები ჯანმარტოებულნი და უმწეონი არიან, — სწერს გაზეთი. — „რუმინელები, რომლებიც ამაყად მიჰყვებოდნენ ჰიტლერს, ახლა სტოვებენ ბესარაბიას როგორც ლტოლვილნი. გერმანიის ჯარებმა მოახდინეს უნგრეთის სრული ოკუპაცია. მთელი ფრონტი, რომელსაც 1941 წელს ჰიტლერმა თავისი ბარბაროსული ურდოები მიუსია, ახლა შერყეულია“. გერმანიამ, — სწერს, დასასრულ, გაზეთი, — თავისი დანაშაულის ყველა შედეგი უნდა გაიკადოსო.

გერმანელთა მზადება ბულგარეთის ოკუპაციისათვის

სტამბოლი, 23 მარტი (საკადესი). სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთში ამას წინათ ჩავიდნენ გერმანელი კვარტირიერები, რომლებსაც დავალებული აქვთ მომზადონ ბინები ბულგარეთში მიმავალი გერმანელთა ექვსი დივიზიის დასაბინავებლად, რომლებიც, უმთავრესად, ლოტარინგიელი ჯარისკაცებისაგან შესდგება.

იმავე წყაროებიდან იუწყებიან, რომ ამ დღეებში შესდგა ბულგარეთის სარეგენტო საბჭოს წევრის პრინც კირილეს შეხვედრა ჰიტლერთან.

„კეგებორგს მორგენპოსტი“ რუმინეთსა და ბულგარეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ჰეტებორგი, 22 მარტი (საკადესი). გაზეთ „ჰეტებორგს მორგონპოსტის“ ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: „ბუქარესტის ევაკუაცია დაჩქარებით სწარმოებს. გამოცემულია ოფიციალური ბრძანება ჩრდილოეთ ბუკოვინისა და ბესარაბიის ევაკუაციის შესახებ. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით,

მდგომარეობა ჩრდილოეთ იტალიაში

სტამბოლი, 24 მარტი (საკადესი). იმ ცნობების თანახმად, რომლებიც აქ მოდის, საოკუპაციო ხელისუფალთა, აგრეთვე მუსოლინის ხელისუფალთა ყველა ცდა, რომ ჩრდილოეთ იტალიაში ჩაატარონ იტალიელთა მობილიზაცია არმიაში, წინანდებურად მარცხით მთავრდება.

19 თებერვალს მილანიდან გაიდა მატარებელი იძულებით მობილიზებული იტალიელებით. გზაში მათი ერთ-ერთ ეშელონ ... ...